## კონსერვატორიაში საპროექტო განაცხადის შერჩევის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საპროექტო განაცხადის შერჩევის წესი არეგულირებს გამოცხადებული კონკურსებისთვის საპროექტო განაცხადის შერჩევის წესს, პირობებს, შეფასების კრიტერიუმებს, ასევე მონიტორინგის საკითხებს;

### მუხლი 2. საპროექტო განაცხადის წარდგენის პირობები

2.1. საპროექტო განაცხადის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტები:

ა) საპროექტო განაცხადის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობა შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად;

ა.ბ) ჯგუფურად შემოტანილ განაცხადს ჰყავს ხელმძღვანელი და წევრები;

ა.ბ) პროექტის ხელმძღვანელობა (საპროექტო განაცხადის შემოტანა) შეუძლია კონსერვატორიის სასწავლო ან/და სამეცნიერო პროცესში ჩართულ ყველა სუბიექტს

ა.გ.) ჯგუფის წევრი შეიძლება არ იყოს კონსერვატორიის პერსონალი.

ბ) საპროექტო განაცხადის ხელმძღვანელობა და მონაწილეობა:

ბ.ა.) ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია ერთზე მეტი საპროექტო განაცხადის ხელმძღვანელობა,

ბ.ბ.) ერთი საპროექტო განაცხადის ხემძღვანელს შეუძლია იყოს სხვა საპროექტო განაცხადის ჯგუფის მონაწილე,

ბ.გ.) ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია ორზე მეტ საპროექტო განაცხადში მონაწილეობა.

### მუხლი 3. ხანგრძლივობა და ბიუჯეტი

3.1. კონკურსის ხანგრძლივობა და ბიუჯეტი რეგულირდება კონკრეტულ კონკურსთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებით.

### მუხლი 4. საპროექტო განაცხადის წარდგენისთვის საჭირო დოკუმენტაცია

4.1. საპროექტო განაცხადისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

ა) პირადობის მოწმობა (მონაწილე ყველა პირმა);

ბ) ცნობა სამუშაო ადგილიდან (მონაწილე ყველა პირმა);

გ) საპროექტო განაცხადი.

**მუხლი 5. საპროექტო განაცხადის ადმინისტრირება**

5.1.საპროექტო განაცხადის ადმინისტრირება ხორციელდება რექტორის ბრძანების საფუძველზე;

5.2. სავალდებულოა საპროექტო განაცხადის ბეჭდური და ელექტრონული რეგისტრაცია რექტორის ბრძნებით დადგენილ ვადებში:

ა) ბეჭდური ვერსიის რეგისტრაციისთვის აუცილებელია საპროექტო განაცხადის და სრული დოკუმენტაციის კონსერვატორიის კანცელარიაში რეგისტრაცია,

ბ) საპროექტო განაცხადის ელექტრონული რეგისტრაციისთვის აუცილებელია საპროექტო განაცხადის და სრული დოკუმენტაციის გადაგზავნა ელექტრონულ მისამართზე: science@tsc.edu.ge;

5.3. რეგისტრაციის ერთ-ერთი ფორმის (ელექტრონული ან ბეჭდური) არ არსებობის შემთხვევაში საპროექტო განაცხადი მოიხსნება განხილვიდან

5.4. რეგისტრირებული საპროექტო განაცხადის/ების შეფასების ვადება განისაზღვრება ბრძანებით;

5.5. საპროექტო განაცხადის შეფასების ეტაპებია:

- რეგისტრირებული საპროექტო განაცხადის/ების ტექნიკური შეფასება
- საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ტექნიკური წუნის აღმოფხვრა
- რეგისტრირებული საპროექტო განაცხადის შერჩევის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა,
- დადგენილი პირობების დაცვით რეგისტრირებული პროექტების შეფასება, შერჩევა კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ
- საპროექტო განაცხადის შერჩევის შედეგების გამოქვეყნება.

**მუხლი 6. საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები**

6.1. საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) საპროექტო განაცხადის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან და მისი აქტუალობა

ბ) მოსალოდნელი შედეგები (მდგრადობა), საპროექტო განაცხადის მონაწილის/ების კომპეტენცია

გ) მენეჯმენტი და განხორციელებადობა, გეგმა-გრაფიკის შესაბამისობა მიზნებთან

დ) ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან

ე) საპროექტო განაცხადის გამოყენებადობა და მნიშვნელობა კონსერვატორიის სასწავლო გარემოსთვის (მხოლოდ იმ პროექტებისთვის, რომელთა პირობებით განსაზღვრულია აღნიშნული მოთხოვნა)

6.2. საპროექტო განაცხადის შეფასების ფორმა და ქულათა განაწილება:

6.2.1. საპროექტო განაცხადი ფასდება ღია კენჭისყრით;

6.2.2. თითოეული შეფასების კრიტერიუმები ფასდება 0-დან 3 ქულამდე:

ა) 3- სრულად შეესაბამება

ბ) 2 - მეტწილად შეესაბამება

გ) 1 - ნაწილობრივ შეესაბამება

დ) 0 - არ შეესაბამება

6.3. ქულების საერთო რაოდენობით რანჟირდება საპროექტო განაცხადები;

6.4. ერთნაირი ჯამური ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საპროექტო განაცხადის აქტუალობას, მის მნიშვნელობას სასწავლო გარემოსთვის.

**მუხლი 7. საპროექტო განაცხადის შეფასება**

7.1. რეგისტრირებული საპროექტო განაცხადის/ების ტექნიკური შესაბამისობის დადგენა ხორციელდება სამეცნიერო დეპარტამენტის მიერ;

7.2. საპროექტო განაცხადის/ების შერჩევა ხორციელდება კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ შეფასების თითოეულ კრიტერიუმზე ღია კენჭისყრით. სხდომაში/ებში და განხილვაში/ებში მონაწილეობის უფლება აქვთ ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტებს სრული შემადგენლობით და დეკანის მიერ წარდგენილ დოქტორანტებს ხმის უფლების გარეშე;

7.3. კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრს არ აქვს საპროექტო განაცხადის შემოტანის უფლება;

7.4. საგამომცემლო კონკურსის ხელშეკრულების მონიტორინგი ხორციელდება სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 24 სექტემბრის #1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საგამომცემლო საქმიანობის წესი“-ს მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რელევანტურ მიმართულებაზე ნაშრომის რეცენზირებით.

**მუხლი 8. დამატებითი სავალდებულო მოთხოვნები**

8.1. გამარჯვებულ საპროექტო განაცხადზე/ებზე საავტორო უფლება ეკუთვნის ავტორს და კონსერვატორიას;

8.2. საგამომცემლო კონკურსში გამარჯვებულ საპროექტო განაცხადზე/ებზე ვრცელდება სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 24 სექტემბრის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საგამომცემლო საქმიანობის წესი“.